საიდ. №68022/03

IR 1118871

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №170-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), მ. ბაკურაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა.”-ს (Philip Morris Products S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №170-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 17 ივნისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1229/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953” (საიდ. №68022/03 IR 1118871) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (34-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 17 ივნისის №1229/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953" (+გამოსახულება) დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის "Gallaher Limited" (მისამართი: OMembers Hill, Brooklands Road, Weybridge, Surrey KT13 0QU, GB), სახელზე 34–ე კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული ნიშნებისა „LIGGETT-DUCAT“ (რეგისტრაციის № 14671, თარიღი 13.09.2002) და „LIGGETT-DUCAT LD Platinum“ (რეგისტრაციის №15814, თარიღი 15.12.2004). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, შესაბამისად, ჩნდება ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა.” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი საკმარისად განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებისაგან, რათა არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ნიშნებით მონიშნული საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა. როგორც ჩანს განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მსგავსება ექსპერტმა ააგო იმ ფაქტზე, რომ ყველა ეს ნიშანი შეიცავს სიტყვას ”LIGGETT” და არ გაითვალისწინა იმ სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტების არსებობა, რომლებიც ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას ანიჭებს. აპელანტის პოზიციით, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში შემავალ ყველა ელემენტს გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ის დაკავშირებულია კომპანიის Philip Morris Products S.A. საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშანთან „L & M”. ეს აღნიშვნა

წარმოადგენს თამბაქოს კომპანიის ”ლიგგეტტ & მაიერს” დამაარსებლების ჯონ ედმონდ ლიგგეტტისა და სმიტ მაიერსის გვარების პირველი ასოებისაგან შედგენილ აბრევიატურას, ხოლო 1953 წელი არის ამერიკის შეერთებული შტატების თამბაქოს ბაზარზე დღეისათვის ამ ცნობილი ბრენდის გამოჩენის წელი და ეს საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი სავარაუდოდ ბრენდის „L&M” ბაზარზე გამოჩენის მესამოცე წლისთავს ეძღვნება. აპელანტის მითითებით, ამ ნიშნის წარმოშობის ისტორიულ ფაქტების გათვალისწინებით და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ იგი ერთიანობაში წარმოადგენს ფრაზას ” FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953”, რაც ქართულად ”დაარსებულია ლიგგეტტისა და მაიერსის მიერ 1953-ში” ნიშნავს, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი, არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ შინაარსობრივადაც, იმდენად განსხვავდება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებისაგან, რომ გამორიცხულია მომხმარებლის მხრიდან განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მონიშნული 34-ე კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების „ფილიპ მორის პროდაქტ ს.ა.”-ს და კომპანია „გალაჰერ ლიმიტიდის” ერთმანეთში აღრევა. აპელანტის განმარტებით, ეს ორი სასაქონლო ნიშანი წარმატებით თანაარსებობს ევროპულ ბაზარზე, რაც დასტურდება შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის სასაქონლო ნიშნების უწყებაში მათი რეგისტრაციით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 17 ივნისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1229/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953” (საიდ. №68022/03 IR 1118871) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნების განსხვავებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953” (საიდ. №68022/03 IR 1118871) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „LIGGETT-DUCAT” (რეგ. №14671), “LIGGETT-DUCAT LD Platinum” (რეგ. №15814) არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია, როგორც ვიზუალურად, ასევე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს კერძოდ ნაცრისფერ ფონზე ოთხ მწკრივად განლაგებულია ნაცრისფერ და შავ ფერებში შესრულებული წარწერა „FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953”. ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი “LIGGETT-DUCAT LD Platinum” წარმოადგენს ასევე, კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად შეიცავს ასევე გამოსახულებას, კერძოდ ნაცრისფერ ფონზე გრძელი შავი კანტით შემოწერილ მართკუთხედს სადაც ზედა ნაწილში დატანილია გერბი და ამ გერბში დატანილია შავი კუბი, რომელშიც თეთრ ფერში ჩაწერილია სიტყვიერი აღნიშვნა „LD”, აღნიშნული გერბის ქვემოთა ნაწილში დატანილია ასევე კუბის გამოსახულება, რომელშიც ასევე, სერ ფონზე თეთრი ასოებით დატანილია წარწერა „LD”, აღნიშნული კუბის ზემოთა ნაწილში დატანილია წარწერა „LIGGETT-DUCAT”, ხოლო კუბის ქვემოთა ნაწილში დატანილია წარწერა „Platinum”. აღნიშნულ ორ ნიშანს აქვთ იმდენად განსხვავებული გამოსახულება, რომ ვიზუალური თვალსაზრისით მცირეა მათი ერთმანეთში აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის

მწარმოებლის მიმართ. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ოთხ სიტყვიან სასაქონლო ნიშანს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს სამ და ორი სიტყვისაგან შემდგარ სასაქონლო ნიშნებს, რომლებსაც საერთო მხოლოდ ერთი სიტყვა აქვთ „LIGGETT". რაც შეეხება მეორე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „LIGGETT-DUCAT" (რეგ. №14671), აღნიშნული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ორ სიტყვიან სასაქონლო ნიშანს, რომელიც შესრულებულია სტანდარული ასომთავრული ასოებით და აღიქმება როგორც უფო მოკლე (პატარა) სასაქონლო ნიშანი, რაც კიდევ უფრო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს ისეთ სიტყვიერ აღნიშვნებს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ დაპირისპირებულ ნიშნებთან, ასევე განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მხოლოდ ერთ სიტყვას „LIGGETT" დანარჩენი სიტყვები მას სრულიად განსხვავებული აქვს. განსხვავებულია ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების სიტყვათა განლაგებაც. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ფაუნდიდ ბაი ლიგეტ ენდ მეიერს ინ 1953", ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „ლიგეტ დუკატ" და „ლიგეტ დუგატ ელ დი პლატინუმ". განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია სემანტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „დაფუძნებულია ლიგეტისა და მეიერსის მიერ 1953 წელს", ხოლო დაპირისპრებული სასაქონლო ნიშანი ფანტაზიურ ნიშანს წარმოადგენს და მას არ გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მოხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ. ამასთან 34-ე კლასი მოიცავს ისეთ პროდუქციას, რომელიც დაკავშირებულია თამბაქოსთან და სიგარეტებთან, რომელსაც ჰყავს ამ სფეროში საკმაოდ გათვიცნობიერებული

მომხმარებელი, შესაბამისად აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ამცირებს სასაქონლო ნიშნების აღრევის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953" (საიდ. №68022/03 IR 1118871) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა."-ს (Philip Morris Products S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 17 ივნისის №1229/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „FOUNDED BY LIGGETT & MYERS IN 1953" (საიდ. №68022/03 IR 1118871) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის

რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ეგუტია
წევრები:	მ. ბაკურაძე
	დ. ჭიჭინაძე